# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 105

„23" სექტემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე" ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის, სახელმწიფო ქონების შესახებ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 5 სექტემბერს №5/32358 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქ. თბილისში თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული 9042 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი №01.10.18.009.185) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.
2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი